

პროექტის დასახელება: **ბავშვთა ნახატების საერთაშორისო კონკურსი «დამიხატე მშვიდობა». 2018 წლის სეზონი.**

კულტურული და ჰუმანიტარული პროექტი. **საკონკურსო თემა:** მშვიდობა, სოლიდარობა, ჰუმანურობა.

პროექტის მიზანი: გავაგრძელოთ ყოველწლიური, ტრადიციული, საბავშვო ნახატების კონკურსი (2015 წლიდან) – ბავშვებს მივალდებინოთ კონკურსში მონაწილეობა, რომლებიც იქნებიან სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები, ეთნიკური ჯგუფის, რასის, სქესის, რელიგიის, ჯანმრთელობის მდგომარეობის და შეუქმნათ მათ მეგობრობის, ძმობის, სოლიდარობის და ჰუმანიზმის განცდა. პროექტის მეშვეობით სხვადასხვა ქვეყნის ბავშვებს შორის იქმნება კულტურულ-ჰუმანიტარული დიალოგი მშვიდობის და სიკეთის თემაზე. ეს კონკურსი არის ძლიერი სიმბოლო - მოვუხმობთ მშვიდობას ბავშვის ნახატის ენით, რომელიც არ საჭიროებს თარგმანს.

პროექტის ეთიკური მხარე: ჩვენი კონკურსი აპოლიტიკურია. თანამედროვე გეოპოლიტიკურ კონტექსტში მნიშვნელოვანია აღვზარდოთ ბავშვებში სოლიდარობის და მეგობრობის განცდა. ჩვენ ვმუშაობთ პატარებთან და ასევე მათ მშობლებთან სიკეთის და მშვიდობის ღირებულებების სახელით. კონკურსის პარტნიორები არიან ორგანიზაციები და კერძო პირები, რომლებიც იზიარებენ ჩვენს ენთუზიაზმს ამ პერსპექტიულ და იმედის მომცემ პროექტთან დაკავშირებით.

ორგანიზატორი: საერთაშორისო აიპ «Club de Chance» (საფრანგეთი, რუსეთი, საქართველო). კონკურსი მიმდინარეობს საფრანგეთის საელჩოს მხარდაჭერით აგრეთვე სხვა პარტნიორების, სპონსორების, ცნობილი მხატვრების და საზოგადო მოღვაწეების დახმარებით. იხილეთ დეტალური ინფორმაცია საიტზე www.drawmepeace.com.

თუ გსურთ გახდეთ ჩვენი პარტნიორი გთხოვთ, მიწეროთ ორგანიზატორებს ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

დაჯილდოების ცერემონია იმართება პარიზში ყოველწლიურად მაისის თვეში.

2016 წელს - გაიმართა სენატის შენობაში (ლუქსემბურგის სასახლეში)

2017 წელს - გაიმართა ეროვნული ასამბლეის შენობაში (ბურბონების სასახლეში)

2017 წლის წვეულების ვიდეო იხილეთ:

<https://www.youtube.com/watch?v=lhXcYYBNHWE&t=17s>

შემაჯამებელი სტატია იხილეთ: <http://drawmepeace.com/>

კონკურსის ჟიური:

ფინალისტების და ნახევარფინალისტების შერჩევას ახორციელებს 5-7 კაციანი გუნდი, რომელთა შემადგენლობაშია პროფესიონალი მხატვრები მათ შორის საბავშვო ნახატების სპეციალისტები და მშვიდობის იდეის მხარდამჭერი საზოგადო მოღვაწეები.



ბავშვებს კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ 3 კატეგორიის მიხედვით:

- ბავშვები 4-დან 7 წლამდე („მშვიდობის მტრედები“)
- ბავშვები 8-დან 12 წლამდე
- მოზარდები 13-დან 16 წლამდე

გთხოვთ, შეზღუდული საშუალებების მქონე ბავშვებმა ანკეტაში მიუთითოთ ინვალიდობა.

სავალდებულოა A3 ფორმატის ქალაქდზე დახატული ნახატის ფოტოსურათის გამოგზავნა შემდეგ ფორმატში *JPG (*JPEG), 1600 – 3000 პიქსელი, ზომა 1-დან 5 მეგაბაიტამდე.

მონაწილეობის მისაღებად შეავსეთ ბიულეტენი შემდეგ საიტზე: www.drawmepeace.com თან დაურთეთ ნახატის სურათი.

ჩვენ მივიღებთ მხოლოდ ერთ ნახატს ერთ ბავშვზე, დასაშვებია მაქსიმუმ 10 ნახატი თითოეული სკოლიდან. გთხოვთ, თავად შეარჩიოთ გამოსაგზავნი ნახატები რადგან ჩვენ მხოლოდ პირველ შემოსულ ნახატებს მივიღებთ და მომდევნო ნახატები ვერ მოხვდება შერჩევაში.

ყურადღება! სარეგისტრაციო ფორმაში ყველა ველი შეავსეთ მოთხოვნისამებრ ინგლისურ ენაზე. სურათის ფორმატში *JPG (*JPEG), 1600 – 3000 პიქსელი, ზომა 1-დან 5 მეგაბაიტამდე.

განაცხადი რომელიც არ დააკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს კონკურსში არ განიხილება.

თუ თქვენ ვერ მოხვდებით გამარჯვებულთა სიაში მაგრამ გსურთ მიიღოთ მონაწილეს **სერთიფიკატი**, პასუხების გამოქვეყნების შემდგომ გთხოვთ მოგვწეროთ 2018 წლის 12 მარტიდან 30 ივნისამდე შემდეგ მისამართზე: drawmepeace.clubdechance@gmail.com

შერჩევის კრიტერიუმები:

- ემოცია - მთავარი კრიტერიუმი
- ორიგინალურობა (არ მიიღება ინტერნეტიდან ან სხვა წყაროებიდან მოპოვებული ნახატები). პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში ნახატი მოიხსნება კონკურსის ნებისმიერი ეტაპიდან.
- ტექნიკა: ფანქარი, აკვარელი, გუაში, ზეთი (არ მიღება: აპლიკაცია, კომპიუტერული გრაფიკა და ა.შ.)
- თემის შესაბამისობა
- მხატვრული კომპოზიცია

შერჩევა მოხდება საერთაშორისო ჟიურის წევრების მიერ „ბრმა“ მეთოდით: მათ ეცოდინებათ მხოლოდ ბავშვების ასაკი და ნახატი რომლის მთავარი განმსაზღვრელი კრიტერიუმი იქნება „ემოცია და გულში ჩვდომა“ და არა მხოლოდ ნახატის ტექნიკური მხარე. ეს თანაბარ საშუალებას აძლევს ბავშვებს გამოხატონ თავი როგორც პროფესიონალებს და ასევე სხვა დანარჩენებს.



ნახევარფინალი:

ვინაიდან საქართველოდან და რუსეთიდან არის ნახატების დიდი რაოდენობა, ჩვენ მათთვის ვატარებთ ნახევარფინალებს - ვარჩევთ 50 საუკეთესო ნახატს, რომელიც შემდგომ ეგზავნება საერთაშორისო კომისიას პარიზში.

ნახევარფინალისტები ჯილდოვდებიან ეროვნული მნიშვნელობის დიპლომებით (ელექტრონული ფორმატით ან წინასწარ გადახდილი საფოსტო გზავნილის სახით)

ვადები:

- ნამუშევრები მიიღება 2017 წლის 1 ნოემბრიდან 2018 წლის 31 იანვრამდე. პარიზის დროით შემდეგ საიტზე www.drawmepeace.com
- 2018წ. 1 თებერვლიდან 13 თებერვლამდე - ჟიური იმუშავებს ნახევარფინალისტების შერჩევაზე საქართველოდან და რუსეთიდან.
- 2018წ. 14 თებერვლიდან 28 თებერვლამდე - საერთაშორისო ჟიურის მუშაობა, ნახევარფინალისტების შედეგების გამოცხადება.
2018წ. 1 მარტიდან 10 მარტამდე - კონკურსის შედეგების, გამოცხადდება შემდეგ საიტზე www.drawmepeace.com შემდგომ მეილების გაგზავნა გამარჯვებულებთან.
- 10 მარტიდან 30 მარტამდე - ნახევარფინალისტების ჩატარება, ნახევარფინალისტების დაჯილდოვება.
- 1 მაისიდან 15 მაისამდე - ფინალური შედეგი პარიზში, საფრანგეთი (ზუსტი თარიღი გამოცხადდება შედეგების გამოქვეყნების შემდგომ 2018 წლის მარტში.)
- 15 მაისიდან - 30 ივნისამდე - ფინალები სხვადასხვა ქვეყნებში (ადგილობრივი ორგანიზატორების მოთხოვნისამებრ), ჯილდოების გაგზავნა ფოსტით იმ გამარჯვებულებისათვის ვინც ვერ შეძლებს პარიზში ჩასვლას. ამავდროულად მოხდება სერტიფიკატების ელექტრონული ვერსიების გაგზავნა კონკურსში წაგებული მონაწილეებისთვის (სპეციალური მოთხოვნით).

კონკურსის შედეგები:

- 50 გამარჯვებული ნამუშევარი მთელი მსოფლიოს მასშტაბით იქნება დაჯილდოვებული საპატიო დიპლომით, ლაურეატის მედლით და მხატვრული ნამუშევრების კრებულთა ალმანახი „მსოფლიო სიმფონია“.
- მოეწყობა 50 გამარჯვებული ნახატის მცოცავი გამოფენა, რომელიც მშვიდობის სიმბოლოდ გამოიფინება სხვადასხვა ქვეყნების პრესტიჟულ ადგილებში (საელჩოები, მერია, გალერეები, სკოლები და ა.შ.)

კონტაქტი:

კონკურსის საერთო მეილი clubdechance.tiflis@gmail.com

+995 591 33 83 89

დამატებითი ინფორმაცია:

www.drawmepeace.com

თუ გსურთ გახდეთ ჩვენი პარტნიორი გთხოვთ, მიწეროთ ორგანიზატორებს

